ეკა ბარბაქაძე

მცხოვრები[redacted]

მობილური ტელეფონის ნომერი [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, ეკა ბარბაქაძე, დავიბადე 1979 წლის 14 აპრილს, ქალაქ თბილისში. ვარ საქართველოს მოქალაქე.

1985 წელს სწავლა დავიწყე თბილისის N115-ე საშუალო სკოლაში. 1987 წლის სექტემბრიდან კი სწავლა განვაგრძე თბილისის N164-ე საშუალო სკოლაში. 1991 წლიდან ვსწავლობდი თბილისის N192-ე საშუალო სკოლა-გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1996 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2001 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2001 წლის 1 ოქტომბრიდან 2006 წლის 25 სექტემბრამდე პერიოდში სამართლის პედაგოგად ვმუშაობდი თბილისის კერძო საშუალო სკოლა ,,დედისიმედში".

2006 წლის 3 აპრილიდან სხდომის მდივანად დავიწყე მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროში.

2008 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. 2009 წლის 30 აპრილს კი ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2008 წლის 15 დეკემბრიდან 2018 წლის 10 აპრილამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე.

2018 წლის 10 აპრილიდან 2022 წლის 18 მაისამდე ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველოფის სამსახურის მთავარ კონსულტანტად - მოსამართლის თანაშემწედ - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად.

2022 წლის 18 მაისიდან 2023 წლის 11 ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

2023 წლის 11 ივნისს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ივლისამდე კი ვსწავლობდი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსზე.

2010 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში არაერთ ტრენინგსა და სასწავლო კურსში მივიღე მონაწილეობა, კერძოდ:

2010 წლის 17-18 აპრილი - სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი;

2010 წლის 15 მაისი - საქმეთა ნაკადის მართვა სასამართლოში;

2010 წლის 11 დეკემბერი - აღკვეთის ღონისძიების შესახებ ბრძანების დასაბუთება;

2011 წლის 18 ივნისი - სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროგრამა;

2012 წლის 28-29 სექტემბერი - სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი - გადაწყვეტილების წერის კულტურა/დასაბუთება;

2013 წლის 19-20 აპრილი - სასამართლო განაჩენთა დასაბუთება;

2014 წლის 22 იანვარი - სამართლებრივი მართლწერა;

2014 წლის 30-31 იანვარი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ;

2015 წლის 3-4 ივნისი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სიახლეები;

2016 წლის 27-28 იანვარი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აქტუალური საკითხები;

2016 წლის 25-26 აპრილი - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;

2018 წლის ოქტომბერი-დეკემბერი - „HELP-ის" დისტანციური სწავლების კურსი, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება;

2019 წლის იანვარი-მარტი - სისხლისსამართლებრივი ასპექტები;

2022 წლის 3-4 დეკემბერი - სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები.

ეკა ბარბაქაძე

ე. ბარბაქაძე